

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22

2011 წლის 20 ივნისი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების სოციალური მიზნით განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების სოციალური მიზნით განკარგვის თანდართული წესი.

მუხლი 2

მიღებული დადგენილება გადაეგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ლ. კონჯარია

შეტანილი ცვლილებები:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №27- ვებგვერდი, 27.07.2011წ.

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული, სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების სოციალური მიზნით განკარგვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების თვითმმართველი ერთეულის – ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული მოძრავი ქონების (შემდგომში – ქონების) სოციალური მიზნით განკარგვის პროცედურებს;

2. ამ წესის შესაბამისად ქონება სოციალური მიზნით შეიძლება გადაეცეთ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს (მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირებს), იმ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, აგრეთვე ხანძრის, მეწყერის, სხვა ბუნებრივი და ტექნოგენური პროცესებით დაზარალებულ პირებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ეკლესია-მონასტრებს, რომლებიც საჭიროებენ შესაბამის დახმარებას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 20 ივლისის დადგენილება №27- ვებგვერდი, 27.07.2011წ.

მუხლი 2. ქონების სოციალური მიზნით განკარგვის კომისია

1. ქონების სოციალური მიზნით განკარგვის უზრუნველსაყოფად საკრებულოს თავმჯდომარე, შესაბამისი განცხადების განხილვისა და რეკომენდაციის მოსამზადებლად, არანაკლებ 5 და არა უმეტეს 9 წევრისგან, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან ქმნის კომისიას.

2. კომისიის შემადგენლობაში შედიან თვითმმართველი ერთეულის – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, გამგეობის საჯარო მოხელეები, ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა

მოხელეები, ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმომადგენლები ან/და მოწვეული სპეციალისტები, რომლებიც არ შეიძლება დაინიშნონ კომისიის თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ ან კომისიის მდივანად.

3. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი და სხვა წევრები, რომლებიც თავიანთ უფლებამოსილებას ახორციელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.

4. ქონების სოციალური მიზნით განკარგვის მიზნით კომისია იხილავს მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილ განცხადებებს და განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს.

მუხლი 3. განცხადების წარდგენის წესი და წარსადგენი დოკუმენტაცია

1. დაინტერესებული პირი ქონების სოციალური მიზნით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე შესაბამის განცხადებას წარადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე.

2. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

3. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ პირადობის მოწმობაში მისამართის გრაფა შეუვსებელია, – ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის ცხოვრების ფაქტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

გ) წინამდებარე წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებიდან);

დ) თუ პირი მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, – ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა და რწმუნებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

მუხლი 4. ქონების სოციალური მიზნით განკარგვის კომისიის მუშაობის წესი

1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება (რეკომენდაცია), თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

2. კომისია თავის გადაწყვეტილებას (რეკომენდაციას) წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს.

3. იმ შემთხვევაში, თუ განცხადებას თან არ ერთვის ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, კომისია განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რომელიც არ შეიძლება იყოს წარმოსადგენი დოკუმენტაციის მოსაპოვებლად კანონით დადგენილ ვადაზე ნაკლები.

4. კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დატოვებული იქნება განუხილველად. განცხადების განუხილველად დატოვება არ ზღუდავს პირს, კვლავ მიმართოს მუნიციპალიტეტს ახალი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით ქონების სოციალური მიზნით გადაცემის თაობაზე.

მუხლი 5. გადაწყვეტილება ქონების სოციალური მიზნით განკარგვის შესახებ

1. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ქონების სოციალური მიზნით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით, იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, წარდგინებიდან 10 დღის ვადაში.

2. ქონების სოციალური მიზნით განკარგვის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ქონების გადაცემის პირობებს და იგი ადასტურებს ქონების თვითმმართველობის საკუთრებიდან გასვლისა და მოქალაქის საკუთრებაში გადასვლის ფაქტს.

3. ქონების სოციალური მიზნით განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების სადავოობისას თვითმმართველი ერთეულის მხარეს წარმოადგენს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.